ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წევრის ბიძინა ლომჯარიას ანგარიში, 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნება დემომკრატიული საქართველო"- პარტია „ეროვნული ფორუმის" პარტიული სიით, ასევე „აგრარულ საკითხთა", „განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა"კომისიების წევრი.

კომისიებში განვიხილავდით შემოსულ კორესპოდენციებს, ვისმენდით აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების ანგარიშებს და ვაფასებდით მათ მუშაობას, მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების, ან სარგებლობის უფლებებით გადაცემას.

ვინაიდან ვარ სოფელ ჭანიეთის მცხოვრები, განსაკუთრებულ ყურადგებას ვაქცევ სოფლის განვითარების პროგრაემის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს.

რამდენიმე ადგილზე გაკეთდა გზების ბეტონის საფარით დაგება; გაგრძელდა გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები; 2016 წელში დაიწყო სკოლის მშენებლობა; დასრულდა და გაიხსნა მაღალი დონის ბაგა-ბაღი. სოფლის ცენტრში გაიხსნა შინმოუსვლელთა სტენდი და პარკი.

მონაწილობა მივიღე საკრებულოს სხდომებში სულ ჩატარდა 22 სხდომა, განხილული იქნა 101 საკითხი, მიღებული იქნა 28 დადგენილება და 73 განკარგულება. დავამტკიცეთ 2017 წლის ბიუჯეტი.

რა არის გასაკეთებელი,

სოფლის დეპუტატებთან ერთად უნდა ვიმუშაოთ გაზიფიცირების დასრულებაზე, მოვაწყოთ და გავაკეთოთ სოფლების ცენტრალური და შიდა გზები.

იმედს გამოვთქვამ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.

საკრევბულოს წევრი ბიძინა ლომჯარია